პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩისთვის ლაშარელას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩას მიენიჭოს ლაშარელას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:479478 Y:4610684
X:479756 Y:4610635
N
1:1,500

ქ. თბილისის საკრებულოს სახელების და სიმბოლიკის კომისიის

თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

ქ. თბილისი, ტაბახმელა, ნასახლარის ქუჩის მაცხოვრებელთა

01011004647
ნელი პირველი
ნასახლარის №17

განცხადება

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ ტაბახმელაში, ნასახლარის ქუჩაზე მცხოვრებლები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვავენ ქუჩის დასახელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ქუჩაზე ცხოვრობენ პატივსაცემი და დამსახურებული პიროვნებები, რომელთათვისაც ნასახლარის და გაპარტახებულის ასოციაციის დასახლებაში ცხოვრება მინიმუმ არასასიამოვნოა.

ნასახლარის ქუჩის მცხოვრებლები მოგმართავთ თხოვნით, გამოიჩინოთ გულისხმიერება ჩვენს მოთხოვნაზე და ნასახლარის მაგივრად ქუჩას დაარქვათ სახელი, კერძოდ: „კონსტიტუციის“ , „დიდგორის“, „ ლაშა-გიორგის“, „სვანეთის“ და ან სხვა (ქართველი გმირების სახელები).

პატივისცემით:

1. ვ. გონაშვილი (ტელ: 577 787 471)

2. ნ. ქადარია

3. ნ. პირველი (ტელ 595 307 667

4. ე. ჭანტურიძე ნასახლარის 17

5. გ. კოლბინი

6. ზ. შერმაზანაშვილი

და სხვა

წერილის ნომერი: **03-032309593**
თარიღი: **05/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნელი პირველის და ნასახლარის ქუჩის მაცხოვრებელთა 2023 წლის 10 თებერვლის საქმე #19/032304154-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ტაბახმელაში ნასახლარის ქუჩის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231011857**
თარიღი: **11/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 05.04.2023 წლის #03-032309593 (05.04.2023 წ. #14-01230953152-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი